26/09/2024

MES 2 24 0001216614

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქალაქი თბილისი, 12/09/2024**
**სხდომის დაწყების დრო:** 14:00 საათი
**დასრულების დრო**: 17:20 საათი
**სხდომის თავმჯდომარე:** ზურაბ ორჯონიკიძე
**საბჭოს მდივანი:** დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:***

1. **ზურაბ ორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

2. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე -** ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
13. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი**- სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
14. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.
15. **ქრისტინა რზგოევა -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

***სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:***

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - ქეთევან ინანაშვილი
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - სოფიკო ქურასბედიანი

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:***

**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გიორგი შალუტაშვილი - რექტორი;
ნატო გენგიური - ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი ფხაკაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანა დოლიძე - დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მაია ლევანიძე - კინოტელე ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;
ირინა დვალი - საფინანსო-ეკონოიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ნანა ლეწვერიძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
ნათია გოგიჩაიშვილი - იურისტი.

**უცხოური საწარმოს ფილიალი - „ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. - ის ფილიალი საქართველოში“**

ემინ ჰაჯიევი - ვიცე-რექტორი
მაია ნონიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გაგა გვენეტაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი

**სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი
მერაბ ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
როინ თათეშვილი - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი
ნინო მილაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):***

ვიჩი-კარმენსტანჩიუ (Vichi - Carmen Stanciu) (თავმჯდომარე) *I საკითხი*
ლევან ცაგარელი II საკითხი
თამარ ძველაიაII საკითხი
ნინო მინდიაშვილი II საკითხი
ნინო ალავიძე II საკითხი
ია ბუცხრიკიძე II საკითხი
დავით სიხარულიძე III საკითხი
ეკატერინე ფიფია III საკითხი
დავით კაკიაშვილი III საკითხი
თამთა ცხოვრებაძე IV საკითხი
ნინო ალავიძე IV საკითხი
გაგა გვენეტაძე IV საკითხი
მარიამ გორგოძე IV საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. უცხოური საწარმოს ფილიალში - „ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. - ის ფილიალი საქართველოში“ განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

**შუამდგომლობის ინიციატორი** - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ქეთევან ინანაშვილმა. მან საბჭოს სთხოვა დამატებით პირველ საკითხად განეხილათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის N1071579 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი *ტექნიკური შეცდომის შესწორების შესახებ.*

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. „შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის №1071579 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. უცხოური საწარმოს ფილიალში - „ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. - ის ფილიალი საქართველოში“ განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**პირველი საკითხი:** „შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის №1071579 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წლის 19 აგვისტოს შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს საბჭომ განუსაზღვრა სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა 1 წლის ვადით. საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, გადაწყვეტილება ძალაში შევიდა საჭოს სხდომის ჩატარების დღეს - 2024 წლის 19 აგვისტოს. მისი თქმით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, იმავე დღეს საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.
შესაბამისად, მიზანშეწონილია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის №1071579 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის შესწორება და გადაწყვეტილებას დაემატოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი, 2024 წლის 19 აგვისტო.

**საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მიიღო გადაწყვეტილება:**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ცვლილება შევიდეს „შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის №1071579 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ ქვეპუნქტი: „გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 19 აგვისტოდან“.

**მეორე საკითხი:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არჰქონდათ საბჭოს წე ვრების მიმართ აცილება.**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს ზეპირი მოსმენის თარგმნა უზრუნველყო ლაშა მაჭარაშვილმა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთანმიმართებით.**

საერთაშორისო ექსპერტი, ვიჩი-კარმენსტანჩიუ (Vichi - Carmen Stanciu), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში უნივერსიტეტში საკმაოდ კონსტრუქციული თანამშრომლობა შედგა დაწესებულებასთან. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა როგორც დრამის, ისე კინოს კამპუსები. მისი თქმით, როდესაც დაწესებულებაში ხორციელდება ძალიან დიდი აქტივობით პრაქტიკული საქმიანობა, მნიშვნელოვანია არსებობდეს კარგი მატერიალური ბაზა. ექსპერტთა მოსაზრებები დაწესებულების შესახებ ეფუძნება არა მხოლოდ დოკუმენტაციას, არამედ ინტერვიუს შედეგებსაც. დიდი ყურადღება გამახვილდა სტუდენტების არსებულ და დაგეგმილ რაოდენობაზე. მან აღნიშნა, რომ ოთხი კომპონენტი სრულად, ცამეტი კომპონენტი მეტწილად, ხოლო ერთი კომპონენტი ნაწილობრივ შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტებთან. დაწესებულების მიმართ გაიცა 38 რეკომენდაცია. შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა. უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა ეხება ძალიან მჭიდრო კავშირს სტუდენტებსა და პერსონალს შორის. როგორც სტუდენტები აღნიშნავდნენ, უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს მხარი დაუჭიროს სტუდენტების განვითარებას, როგორც სამომავლო კულტურის მოღვაწეებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გაცემული რეკომენდაციები ეფუძნება იმ გარემოებებს, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დახვდა. დაწესებულების პროგრესი არის ძალიან შთამბეჭდავი. უნივერსიტეტი ორიენტირებულია განვითარებაზე, თუმცა მან მეტად უნდა გამოიყენოს ხარისხის მექანიზმები დასახული მიზნების მისაღწევად.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიორგი შალუტაშვილი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა არგუმენტირებული პოზიცია, მათი მხრიდან აღნიშნულთან დაკავშირებით უკუკავშირს ადგილი არ ჰქონია. უნივერსიტეტისთვის რეკომენდაციათა დიდი ნაწილი მისაღებია, თუმცა არსებობს ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულების აზრით რჩევის ხასიათს ატარებს. მეცხრამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ არსებობს ფაქტორივი უზუსტობა. უნივერსიტეტმა ექსპერტებს გაუზიარა როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე 2024 წლის 15 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება. დაწესებულება 2015 წლის ხელშეკრულებას ფიზიკურად ვერ გაუზიარებდა ექსპერტებს იქიდან გამომდინარე, რომ ანტიპლაგიატის პროგრამა 2017 წელს დაინერგა დაწესებულებაში. შესაბამისად, მსგავსი ტექნიკური ხასიათის შეცდომები უნდა გასწორდეს დასკვნაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ოცდამეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბუნდოვანია მისი შინაარსი. გაურკვეველია ექსპერტები რას გულისხმობდნენ „ყველა პროგრამის მსგავს

პრეზენტაციაში". მათი მხრიდან საჭირო იყო მეტი კონკრეტიკა, თუმცა შესაძლებელია ეს იყოს თარგმანის პრობლემა. დასკვნაში არსებობს ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც წინააღმდეგობაშია ფაქტობრივ მასალებთან. მაგალითად, ოცდამეოთხე რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან შეფასებული იყო უარყოფით კონტექსტში. დაწესებულებას უპრეცედენტო წარმატებები გააჩნია თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალის კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში წახალისების კუთხით. მაგალითად, დაწესებულების ერთერთმა დოქტორანტმა „HB Studio“-ში აიმაღლა კვალიფიკაცია. ეს არის ისეთი სტუდიო, რომელიც რობერტ დე ნირომ და ალ პაჩინომ დაამთავრა. შარშან „რომის ნაციონალურმა ცეკვის აკადემიამ“ მიიწვია დრამის მიმართულების ყველა ექსპერტი. სტუდენტებისათვის ფინანსურის მხარდაჭერის მიზნით აქტიურად არის ჩართული სს „თიბისი ბანკი“, რომელმაც პირველად საქართველოს ისტორიაში დააფინანსა „ჰოლივუდში“ პროფესიული ამაღლების მიმართულება. გარდა ამისა, სს „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით ჩვიდმეტი ადამიანი გაემგზავრა უნგრეთში ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვის მიზნით. იგივე ხდება კულტურული ტურიზმის მიმართულებითაც, სადაც ყოველწლიურად ოცკაციანი ჯგუფი გერმანიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიემგზავრება. ეს მიმართულება არის უნივერსიტეტის ძლიერი მხარე. ბოლო სასწავლო წლის განმავლობაში დაწესებულებამ ევროკავშირის ქვეყნებიდან მიიღო 225 000 € ღირებულების გრანტები, რათა ამ ქვეყნებში წარსადგენად საქართველოში დადგმულიყო მათი კლასიკა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ქართული თეატრის სინამდვილეში. შესაბამისად, გაუგებარია რატომ შეფასდა ექსპერტების მხრიდან აღნიშნული საკითხი უარყოფითად. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რჩევების ნაწილში იყო ფაქტობრივი უზუსტობები. მაგალითად, ექსპერტები უნივერსიტეტს ურჩევდნენ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შექმნას მაშინ, როდესაც ეს სტრატეგია ძალიან დიდი ხანია დადებულია უნივერსიტეტის საიტზე როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს მეცამეტე რეკომენდაციას. ამ საკითხზე მიდის მოლაპარაკება კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რომ მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება აღნიშნული პრობლემის სათანადოდ გადაჭრისათვის. დაწესებულება არ იზიარებს მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე რეკომენდაციებს. თავისი შინაარსიდან გამომდინარე ეს რეკომენდაციები მსგავსია და შესაძლებელია მათი გაერთიანება. მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაციები ეხება ხარისხის მექანიზმების ამუშავებას. ეს მექანიზმები უნივერსიტეტში წლებია ამუშავებულია. ექსპერტები დასკვნაში მე-18 და მე-19 გვერდზე აღნიშნავენ, რომ კარგად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა გაბნეულია რამდენიმე რეგულაციაში. არსებული სტანდარტი ითხოვს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობას. ეს მექანიზმები რამდენ რეგულაციაში იქნება მოცემული ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის უნივერსიტეტის დისკრეციული უფლებამოსილება. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია, მათი მოსაზრებით, გადატანილი უნდა იქნეს რჩევებში. მან აღნიშნა, რომ მსგავსი შინაარსის რეკომენდაციები იყო 28-ე და 37-ე რეკომენდაციები. მისი თქმით, უნივერსიტეტში დიდი ხანია დანერგილია პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვები. ამის შესახებ ინფორმაცია დაწესებულებამ ექსპერტებს მიაწოდა. ყველა ძირითად რგოლში ხარისხის სამსახური აქტიურად ჩართულია. 2018 წლიდან დღემდე უნივერსიტეტმა ძალიან დიდი წინსვლა განიცადა, კერძოდ, ფესტივალები გახდა საერთაშორისო, დაფუძნდა საერთაშორისო კონფერენციები და გამოცემები, უნივერსიტეტმა შეიძინა ახალი პარტნიორები და ა.შ. შესაბამისად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაუგებარია რატომ შეფასდა ექსპერტების მხრიდან ხარისხის სამსახურის საქმიანობა უარყოფითად. დაწესებულების წარმომადგენელმა, 31-ე და 32-ე რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სპეციალური კურსებია ჩართული. სადოქტორო პროგრამაში აკადემიურ წერასთან დაკავშირებით ტრენინგები ტარდება, თუმცა რამდენიმე დისერტაციაში გაპარულია ტექნიკური შეცდომები, რომლებიც მომავალში აუცილებლად გამოსწორდება. შესაბამისად, ამ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი სრულად იზიარებს. 33-ე და

34-ე რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სათანადო რეგულაცია შეიქმნა სამეცნიერო პროდუქტიულობის მხარდაჭერისა და მექანიზმების, სადაც გათვალისწინებულია ფინანსური საკითხიც. 35-ე რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარია რას გულისხმობენ ექსპერტები ამ რეკომენდაციაში. სამეცნიერო მიმართულებით უნივერსიტეტმა ძალიან დიდი წინსვლა განიცადა. ბეჭდურ ჟურნალთან ერთად გამოიცემა ელექტრონული ჟურნალიც, რომელზე წვდომა ხუთივე კონტინგენტიდან აქვს მომხმარებელს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ურჩევს, რომ სხვადასხვა სპეციალობების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ აირჩიონ საგნები სხვა პროგრამების არჩევითი საგნებიდან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არასდროს არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ სტუდენტს არჩევის შესაძლებლობა არ ჰქონოდა სხვა პროგრამების არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან. ერთადერთი რამ, რაც სტუდენტს არ შეუძლია არის ის, რომ ის ვერ აირჩევს მსახიობის ოსტატობის კურსს, რადგან მისი არჩევით დაირღვევა სასწავლო პროცესი. ექსპერტმა ლევან ცაგარელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს ფინანსური პრობლემები. დაწესებულება არის დამოკიდებული მთლიანად გარე ინიციატივებზე. სტრატეგიაში გაწერილი ბევრი რამე პრაქტიკაში არ არის მოყვანილი. მთელი სამეცნიერო პროდუქტი და შემოქმედებითი პროექტები პედაგოგიური დანიშნულებისაა. რა თქმა უნდა, ეს მისაღებია, თუმცა რამდენად არის ეს ეკვივალენტური იმისა, რაც არასახელოვნებო უნივერსიტეტებში კვლევად იწოდება, გაუგებარია. გარდა ამისა, არ არსებობს ამ პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა. მისი თქმით, ხარისხის სამსახურის მიერ წარმოდგენილ კვლევებზე ექსპერტებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ეს კვლევები არ იყო ჩატარებული სათანადო კვალიფიციურ დონეზე. ასვე არსად არ წერია იმის შესახებ ინფორმაცია თუ რაში იყენებს დაწესებულება ამ კვლევებს. ექსპერტმა ნინო მინდიაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ავტორიზაციის პროცესი წარმართულიყო შეუფერხებლად. მისი თქმით, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა გასაძლიერებელია უნივერსიტეტში. ეს დადასტურდა არა მარტო დოკუმენტების, არამედ ინტერვიუების შედეგად. ასევე აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ძირითადად საუნივერსიტეტო პროდუქტით შემოიფარგლებოდნენ. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტრატეგია დაწესებულებაში არსებობს, თუმცა არის უფუნქციო და ბოლომდე არ სრულდება. უნივერსიტეტში სახელოვნებო მიმართულება არის ძალიან კარგ დონეზე, თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი დაწესებულების მიერ სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული. აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების დროს განაცხადა, რომ სურდათ საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მაგრამ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ აქვეყნებდნენ.

ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ფხაკაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების ერთ ნაწილს უნივერსიტეტი იზიარებს, ხოლო მეორე ნაწილს არა და მიაჩნია, რომ რჩევებში უნდა იქნეს გადატანილი. რეკომენდაციების შესრულება მოითხოვს დროს. შესაბამისად, იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც უნივერსიტეტი იზიარებს, ახლო მომავალში სრულად შეასრულებს. საერთაშორისო ექსპერტმა, ვიჩი-კარმენ სტანჩიუმ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიმართ გაცემული რეკომენდაციები არ ნიშნავდა იმას, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ აფასებდა დაწესებულების მიერ გაწეულ შრომას. მისი თქმით, რეკომენდაციები გაიცა დოკუმენტების, ინტერვიუების შედეგებისა და იმ ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც არსებობდა უნივერსიტეტში. ხარისხის სამსახურის კონსულტანტმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ ხარისხის სამსახური დაფუძნების დღიდან ხელმძღვანელობს PDCA ციკლის სტანდარტით. კვლევის მეთოდოლოგია ყოველთვის არის განსაზღვრული. მაგალითად, ხუთკაციან ჯგუფში ვერ განისაზღვრება ის მეთოდოლოგიური ასპექტები, რომლებიც მრავალათასიან აუდიტორიას სჭირდება. მისი თქმით, გამოკითხვების საფუძველზე შეცვლილა პედაგოგი, განხორციელებულა ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ა.შ. ეს უნივერსიტეტი არის სპეციფიკური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თუ ბევრი

უნივერსიტეტისათვის ხელმისაწვდომია ბევრი რამე, მსგავსი სპეციფიკის უნივერსიტეტისთვის არ არის ხელმისაწვდომი. დაწესებულება იზარებს ექსპერტების იმ მოსაზრებას, რომ უნდა გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცა არ უნდა იქნეს უყურადღებოდ დატოვებული უნივერსიტეტის მიერ გაწეული სამუშაოები ამ და სხვა მიმართულებით.
დაწესებულებამ ასევე დააზუსტა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 1700 - ის ნაცვლად ითხოვს - 1200 - ს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს 23-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტმა თამარ ძველაიამ განაცხადა, რომ მოცემული რეკომენდაცია გაიცა სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგების საფუძველზე. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ მრავალფეროვანი არჩევანი არჩევითი საგნებთან დაკავშირებით.

**დაწყების დრო: 15:40**
**დასრულების დრო: 16:00**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მ ო მ ხ რ ე : 1 5
წინააღმდეგი: 0
**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ 203851028) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - სასწავლო უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.

**დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს 2024 - 2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, იმისათვის, რომ დეტალურად განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და ქმედებები, კოორდინატორები და გაზომვადი ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KIP) (შუალედური და საბოლოო), შესრულების ვადები და რესურსების განაწილება;
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დააზუსტოს, ფორმალური გახადოს და თანმიმდევრულად განახორციელოს ანგარიშგების მეთოდოლოგია, რაც მას მისცემს შესაძლებლობას თვალყური ადევნოს სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესს;

3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედება / კავშირი სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს პირველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები;
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის;
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი;
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები;
8. რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები;
9. რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში;
10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება;
11. რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები, მათი წარმოშობის შემთხვევაში;
12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები;
13. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი.
14. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები.
15. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი მექანიზმები.
16. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პოლიტიკა და პროცედურები.
17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შინაგანაწესთან შესაბამისობის მიზნით გაზარდოს დამხმარე სივრცე.
18. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს ცვლილება „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესში“ ისე, რომ მასში განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულები.
19. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაახლოს ან შეიმუშაოს ახალი ხელშეკრულება პლაგიატის გამოვლენის იმავე ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან;
20. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განათავსოს „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტების ეთიკის კოდექსი“ და „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების წესი“ ინგლისურ ენაზე;
21. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით; 22. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ყველა პროგრამის მსგავსი პრეზენტაცია;

22. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს არჩევითი საგნების სიას და უზრუნველყოს მათი გამრავალფეროვნება სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას აირჩიონ საგანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც.
23. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში შემოქმედებითი პროექტების ინიცირებით და მათთვის დაფინანსების შესაძლებლობების (კონკურსები, დაფინანსების მოზიდვა) მიწოდებით; 25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშაოს მისი პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია;
24. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში გაითვალისწინოს ანაზღაურების და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, ასევე თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგები;
25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროცედურა, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების და მათი სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. 28. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში გამოიყენოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
26. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს მიაღწიოს ან გააუმჯობესოს მისი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულები; 30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო დატვირთვის სქემის განახლება რეგულარულ რეჟიმში;
27. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და დოქტორანტების მომზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატსა და ძირითადი მახასიათებლებთან დაკავშირებით;
28. რეკომენდებულია, რომ ყველა სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს უსდ - ს მიერ დადგენილ „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტს“;
29. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო კვლევის განვითარების და მოტივაციის მოქნილი სისტემა;
30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ისეთ პერსონალს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო აღიარებას (ამ კუთხით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ახალი სამეცნიერო კადრებიც);
31. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს თანმიმდევრულად დაგეგმილი სტრატეგია კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით; ასევე წახალისების (რეაგირების) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, ასევე ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, აუცილებელია იმ პროფესორების კვლევით საქმიანობაზე რეაგირება, რომლებმაც არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა;
32. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ჯანდაცვის ობიექტები;
33. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს, განახორციელოს და პერიოდულად გააანალიზოს გამოკითხვა, სტუდენტების და მასწავლებლების სასწავლო რესურსებით და ობიექტებით კმაყოფილების შეფასების მიზნით;
34. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ვებ - გვერდის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან ვერსიებზე

**მესამე საკითხი:** უცხოური საწარმოს ფილიალში - „ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. - ის ფილიალი საქართველოში“ განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთანმიმართებით.**

ექსპერტი დავით სიხარულიძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექპერტთა ჯგუფის მიერ წინა მონიტორინგის ფარგლებში განსაზღვრული იყო 21 რეკომენდაცია. უსდ-მ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი ადამიანი სწავლობდა უნივერსიტეტში. ასევე რატომ იყო სტატუსშეჩერებულთა სტუდენტთა რაოდენობა უფრო მეტი დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სტატუსშეჩერებულთა სტუდენტთა რაოდენობის მეტი მაჩვენებლის არსებობა განპირობებულია უცხოელი სტუდენტებით. ამჟამად უნივერსიტეტს აქტიური ჰყავს ორმოცდაათამდე სტუდენტი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:30**
**დასრულების დრო: 16:50**

**ს**ხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: უცხოური საწარმოს ფილიალის - "ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ. ის ფილიალი საქართველოში" არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**

მ ო მ ხ რ ე : 1 5
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს **უ**ცხოური საწარმოს ფილიალის - "ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.- ის ფილიალი საქართველოში" (ს/კ: 405424526) არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადა ლევან მინდოდაშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განს ახილველ საკითხთანმიმართებით.**
ექსპერტი თამთა ცხოვრებაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული იყო 20 რეკომენდაცია. მისი თქმით, მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე სტანდარტი მეტწილად, ხოლო პირველი, მესამე და მეექვსე სტანდარტი სრულად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ გეგმური მონიტორინგის პროცეს დაწესებულება განიხილავს ხელისშემწყობ მექანიზმად. ავტორიზაციის

დროს გაცემული რეკომენდაციების ერთი ნაწილი დაწესებულებამ შეასრულა და ეცადა, რომ ამ პერიოდისთვის სრულად გაზიარებული ყოფილიყო. რეკომენდაციების მეორე ნაწილი უკავშირდებოდა დაწესებულების განვითარებასა და სიახლეებს. დაწესებულებამ ამ პერიოდში დაიმატა სადოქტორო პროგრამები. ეს არ იყო დაუგეგმავი აქტივობა. ეს იყო დაგეგმილი და გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმით. მისი თქმით, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და იღებს იმის პასუხისმგებლობას, რომ მომავალში სრულად შეასრულებს. უნივერსიტეტის სტრუქტურის ცვლილება განსაზღვრული იყო წესდებით. ეს უკანასკნელი დაწესებულებამ ადრე წარადგინა, თუმცა მისი დამტკიცება დროში გაიწელა და საბოლოოდ 2023 წლის დეკემბერში დამტკიცდა. შესაბამისად, უნივერსიტეტს ახალი წესდება აძლევს იმის საშუალებას, რომ ახალი სტრუქტურა ჰქონდეს. ძველ წესდებაში ყველა სტრუქტურული ერთეული სახელობითად იყო შეტანილი და ვერ ხდებოდა ცვლილებების განხორციელება. ამრიგად, ახალი წესდების მიღება და ახალი სტრუქტურის არსებობა რეკომენდაციების შესრულების საწინდარია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**
**დაწყების დრო: 17:30**
**დასრულების დრო: 17:20**
**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტისთვის 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად
**კენჭისყრისშედეგი:**
მ ო მ ხ რ ე : 1 4
წინააღმდეგი: 0
**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტს განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

**დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში მითითებული იყოს შეფასებისთვის გაზომვადი ინდიკატორები;
2. რეკომენდებულია ყველა აქტივობას ჰქონდეს გაწერილი შესრულების ვადა და ფინანსური უზრუნველყოფა, რათა ცხადი იყოს ბიუჯეტის რა ნაწილიდან ფინანსდება შესაბამისი აქტივობის შესრულება;
3. რეკომენდებულია რეგულარულად ჩატარდეს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დეპარტამენტის ხელმძღვანელების ჩართულობით;
4. საზოგადოების საჭიროებების კვლევის პარალელურად, რეკომენდებულია ინსტიტუციამ შეიმუშავოს საზოგადოებაში შეტანილი წვლილისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი.

5. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრაქტიკაში განახორციელოს დაგეგმილი ორგანიზაციული ცვლილებები და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების დროულად ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულება.
6. რეკომენდირებულია დაწერებულებამ კიდევ ერთხელ გადახედოს ახალი სტრუქტურის პროექტს, გაითვალისწინოს უნივერსიტეტის მასშტაბი, ფინანსური და ადამიანური რესურსი და მოახდინოს სამსახურების ოპტიმიზაცია; უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების, ხელშეწყობისა და დაგეგმილი ამოცანების შესრულების გათვალისწინებით, ასევე ოპტიმალურია კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობა.
7. რეკომენდებულია განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის ცნება, სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით
8. რეკომენდებულია განახლდეს დოკუმენტი - „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რათა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიდგომებს პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.
9. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეულების შევსება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელებისათვის.
10. რეკომენდებულია შემუშავდეს მკაფიო და ნათელი პროცედურები და გაზიარდეს თანამშრომელთა შორის შეფასების შედეგების შესაბამისი რეაგირების, წახალისების/მოტივაციის, მათი პროფესიული/პიროვნული განვითარებისა თუ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; მათ შორის მკაფიოდ განისაზღვროს აფილირების პირობების და აფილირებული პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმები.
11. რეკომენდებულია დადგინდეს სამიზნე ნიშნულები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.
12. რეკომენდებულია ლექტორების დატვირთვის განაწილება რეგულარულად აისახოს QMS ბაზაში.
13. რეკომენდებულია ინსტიტუციამ გაზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რათა უზრუნველყოს დადგენილ სამიზე ნიშნულებთან შესაბამისობა, სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით.
14. რეკომენდებულია დაწესებულების მართვის ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში) სტუდენტთა არჩევის წესი შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს გამჭვირვალედ და მკაფიოდ, ამავდროულად, დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული წესის შესახებ
15. სტუდენტთა ეფექტიანი ინფორმირებისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ კორპორაციული ელ. ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობა შესთავაზოს სტუდენტებსაც.
16. გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშავოს და უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება საგრანტო კონკურსისა და კვლევის დაფინანსების მოპოვების წესის, ვადების, მონაწილეთა პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების, საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესახებ.
17. რეკომენდებულია ოთხივე კორპუსის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სივრცეები სრულად იქნეს უზრუნველყოფილ სავენტილაციო სისტემებით.
18. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მშენებარე საუნივერსიტეტო ვეტერინარული კლინიკის სრული რეკონსტრუქცია, საერთაშორისო სტანდარტებისა და ბიოუსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

19. რეკომენდებულია საევაკუაციო გასასვლელი კარი არ იყოს რკინის კონსტრუქციის; ასევე, უსაფრთხოების შესაბამისი ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები განთავსდეს ინგლისურ ენაზეც.
20. რეკომენდებულია დაწესებულებამ აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ელექტრონული პორტალის შექმნის მიმართულებით, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ის ფუნქცია და ინფორმაცია, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანი და გამართული მიმდინარეობის ხელშეწყობისთვისაა საჭირო; ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს პედაგოგების მიერ, სტუდენტთა შეფასებების დამოუკიდებლად ასახვის შესაძლებლობა.

**საბჭოს სხდომა დასრულდა 17:20 საათზე**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი